ნავთობის ტრანსპორტირების ლიცენზია

სსიპ „ნავთობის და გაზის სახელმწიფო სააგენტოს“ მიერ გაცემული ნავთობის ტრანსპორტირების ლიცენზია ადასტურებს პირის უფლებას განახორციელოს ნავთობის ტრანსპორტირება.

ნავთობის ტრანსპორტირების ლიცენზიის მიღება რეგულირდება „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით (მუხლი 256).

ნავთობის ტრანსპორტირების ლიცენზიის მისაღებად სააგენტოს უნდა წარედგინოს განაცხადი სააგენტოს მიერ დამტკიცებული ფორმით.

განაცხადს თან უნდა ერვთოდეს:

ა) საქართველოს რეზიდენტისათვის – ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, ხოლო უცხო ქვეყნის საწარმოსათვის – მისი კანონმდებლობის შესაბამისად დამოწმებული/ლეგალიზებული სადამფუძნებლო დოკუმენტაცია/ რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი და საქართველოში წარმომადგენლობის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) განმცხადებლის მიერ განსახორციელებელი, ნავთობის ტრანსპორტირების ლიცენზიით განსაზღვრული საქმიანობის დეტალური აღწერა;

გ) იმ ტექნოლოგიებისა და მეთოდოლოგიური პროცესების დეტალური აღწერა, რომლებსაც განმცხადებელი სატრანსპორტო საშუალებაში გამოიყენებს;

დ) იმ ნედლეულის ან ნავთობგაზპროდუქტების დეტალური აღწერა, რომლებსაც განმცხადებელი სატრანსპორტო საშუალებაში გამოიყენებს;

ე) აუდიტის დასკვნა განმცხადებლის ფინანსური მდგომარეობის შესახებ;

ვ) არსებობის შემთხვევაში – დოკუმენტი განმცხადებლის გამოცდილების (კვალიფიკაციის) შესახებ და იმ ქვეყნების სია, სადაც იგი ახორციელებდა საქმიანობას ბოლო 5 წლის განმავლობაში;

ზ) განმცხადებლის წერილობითი გარანტია, რომ ნავთობის ტრანსპორტირების ლიცენზიის მიღების შემთხვევაში იგი სააგენტოს წარუდგენს სრულ ინფორმაციას ნავთობის ტრანსპორტირების ლიცენზიით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელების შესახებ;

თ) საჭიროების შემთხვევაში, მიწის კერძო მესაკუთრის წინასწარი წერილობითი თანხმობა ნავთობის ტრანსპორტირების ლიცენზიის მფლობელის მიერ ნავთობის ტრანსპორტირების საქმიანობისათვის მისი მიწის გამოყენებაზე და იჯარის პირობები.

განმცხადებლის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე სააგენტო წყვეტს ნავთობის ტრანსპორტირების ლიცენზიის გაცემის საკითხს. ნავთობის ტრანსპორტირების ლიცენზიაში აღნიშნული უნდა იყოს პირობები, რომლებითაც ნავთობის ტრანსპორტირების ლიცენზიის მფლობელს მიეცემა შესაბამისი საქმიანობის უფლება.

„სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონით ნავთობის ტრანსპორტირების ლიცენზიისთვის დადგენილი სალიცენზიო მოსაკრებელი განსაზღვრულია 2 000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით.

ნორმატიული აქტები

- ✓ საქართველოს კანონი „ნავთობისა და გაზის შესახებ“

https://matsne.gov.ge/ka/document/view/18424?publication=32

- ✓ საქართველოს კანონი „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“

https://matsne.gov.ge/document/view/12880?publication=86